# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№637 2017 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების - მცირეკონტინგენტიანი (30-ზე ნაკლები მოსწავლე) სკოლების მე-6, მე-7 და მე-8 კლასების 300-მდე მოსწავლის სამთო-სათხილამურო სპორტში ჩართვისა და დასვენების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს სამთო კურორტებზე დასვენების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის

გამოყოფილი ასიგნებიდან („საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ პროგრამული კოდი: - 32 02 07).

2. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 28 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი